წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — სამშაბათი, 29 გიორგობისთვე 1916 წ. № 266

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ... ...

ომის ამბები

გრძოლის ველზე

ბუქარესტისა და პლოეშტის დაკარგვის შემდეგ რუმინეთის ჯარს დიდ ვლახეთის აღმოსავლეთის მცირე ნაწილი-ღა დარჩა სამოქმედო ასპარეზად. ამ მიდამოს ხაზი იწყობა მდინარე ბუზეოდან, გადმოდის დასავლეთით და ეშვება სამხრეთით მდ. დუნაიამდე. სრული სიმარტივით ამ ხაზის აღნუსვა მეტად ძნელია, რადგან ამის შესახებ ოფიციალი დეპეშები არავითარ ცნობას არ იძლევიან. ვიცით მხოლოდ ის, რომ დღევანდლამდის რუმინეთის ჯარი აღმოსავლეთისაკენ განაგრძობს უკან დახევას და, როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით მაინც გაჩერებას არ ჰფიქრობს. ზოგიერთი სამხედრო მიმომხილველის აზრით რუმინელთა გასაჭირი სწორედ ახლაა, ამ მიდამოში გადმოსვლით იწყება. საერთო მდგომარეობა დიდ ვლახეთის აღმოსავლეთ ნაწილისა ყოველნაირად ხელს უშლის მოკავშირეს აქტიურ მოქმედებას შეუდგეს და საპასუხო ოპერაციისათვის მოემზადოს. მათ არა აქვთ არც რკინის და არც შარა გზები, არც სიმაგრეები და სხვა გვარი რამ საფარი რომელსამე მხრიდან. პირ-იქით სამხრეთით მათ არტყია მდ. დუნაი, რომელიც კედელსავით არის აფარებული და როგორც ჯარების გადასაყვანათ, ისე სამხედრო მასალის მისაწდომად ყოველგვარად შემაფერხებელია. მასთანვე რუმინელთ, რომ კვლავ დამარცხება ხვდეთ წილად, მათი მდინარე დუნაი მათვე ჩაჰკეტავს და უკან დახევის საშუალებას მოუსპობს, რადგან ამას დობრუჯში ახმაურება მოჰყვება და მაკენზენის არმიაც ჩერნოვოდიდან უეჭველია შინ იერიშებს განაახლებს. საზოგადოდ კი მთელი ეს მიდამო უპირველესად მოკლებულია ღირსშენიშნავ ბაზებს გარდა ქ. ბუზეოსი, რომელიც წარმოადგენს ორ რკინის გზის კვანძს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელ პირობებში მოუხდება რუმინელთ ახლა მოპირდაპირესთან ბრძოლა. თუ პატარა ვლახეთში მას დამარცხების შემდეგ საშუალება ჰქონდა რკინის გზების საშუალებით გამოსხლტომოდა მტერს რკინის ბრჭყალებიდან, არა გვგონია ახლა მან აქ ეს მოახერხოს. ერთი მხრივ ჩვენ პირდაპირ დაუჯერებლად მიგვაჩნია „რუსკი ინვალიდი“-ს ცნობა, ვითომ რუმინელები ბუზეო-კოლდარეშტის ხაზზე აპირებენ გაჩერებას ⁄ᲑᲐ სწორედ ამ მიდამოში ხელახლად გენერალურ ბრძოლის დაწყებასო. ბუქარესტის ⁄ᲑᲐ პლოეშტის აღების შემდეგ მოპირდაპირის მდგომარეობა ერთი ორად გაუმჯობესდა. ახლა ამ ორ ქალაქს იგინი საუკეთესო ბაზად გამოიყენებენ და იმ რკინის გზებით, რომელიც აქედან აღმოსავლეთით მიდიან სწრაფად გადასახავენ ჯარებს ბრძოლის ხაზზე. ბუქარესტი და პლოეშტი გერმანელებისათვის მეტად ძლიერი ხაზია. ამ ხაზს ავსტრიასთან აერთებს კრონშტატის რკინის გზა, ბულგარეთთან კი ზიმნიცით და რუშჩუკით მიმავალი რკინის გზები. როგორც ჩრდილოეთიდან, ისევე სამხრეთიდან მოპირდაპირე ადვილად მიიშველიებს ჯარებს და ბუქარესტიდან და პლოეშტიდან მიმავალ გზების საშუალებით ადვილად დაანაწილებს საბრძოლველად. ასეთ პირობაში ბრძოლის დაწყება რუმინელების მიერ დიდი შეცდომა იქნებოდა. რუმინელებს, როგორც ამ ორი სამი დღის წინედ განვაცხადეთ, აღარაფერი დარჩენიათ იმის მეტი, რომ გადავიდნენ რუსეთის საზღვარზე და გამაგრდეს დუნაიზე და სდ. სერეტზე.

უკანასკნელ დეპეშების გადმოცემით სამხედრო პირები ახლა დიდ მნიშვნელობას სწორედ მდ. ოიტუზს აძლევენ. მათს აზრით, მოპირდაპირე მდ. ოიტუზით ჰფიქრობს აქტიურ მოქმედების საშუალება მოუსპონ, როგორც რუმინელებს ისევე რუსეთის ჯარებს. თუ მართლა რუმინელები ბუზეო კოლარეშტის ხაზზე აპირებენ გაჩერებას, მაშინ მდ. ოიტუზის მნიშვნელობა ერთი ორად ძლიერდება. ავსტრიელები და გერმანელები უსათოვოთ ბრძოლის ხაზის გარღვევას შეეცდებიან და განიზრახავენ ზურგიდან შემოვლას.

საზოგადოთ რუმინეთში ახალი ოპერაციის სამზადისი იწყება, ეს ოპერაცია გადასწყვეტს როგორც მოლდავანიის, ისე დანარჩენ რუმინეთის ბედს.

X.

ომის დეპეშები

შვალლეს მთავარსარდლის შტაბისა.

27 გიორგობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. დაბა პელიკანის მახლობლად, დრისვიატის ტბის სამხრეთით, გერმანელის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. დაცემის დროს საფრენი გადაბრუნდა და ცოტა დაზიანდა. მფრინავები და მეთვალყურე დავატყვევეთ. პომორჟანის სამხრეთით, სოფ. კონიუხის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მავთულების ხლართი გადალახა, უჩუმრად წაეპარა მოპირდაპირის სადარაჯოს, ზოგი დახოცა და რამდენიმე დაატყვევა. სვისტელნიკის მიდამოებში მზვერავთა ფიცხელი მოქმედებაა. ტყიან კარპატებში, ირავონიკის სამხრეთით მდებარე მაღლობთან ბრძოლა დასცხრა. ჩვენი ჯარი თავისსავე თხრილებს დაუბრუნდა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ვალეპუტნის დასავლეთით და სამხრეთით მოპირდაპირეს შევუტიეთ, ორი მაღლობიდან გავდევნეთ და ხელთ ვიგდეთ 500-დე ტყვე, მათშორის 10 აფიცერი. დავლად დაგვრჩა 6 ტყვიისმფრქვეველი, 2 ყუმბარის მტყორცნი და 1 ზარბაზანი. სოფ. სულტის სამხრეთ-დასავლეთით 5 ვერსზე მოპირდაპირემ იერიშებით გვაიძულა წინადღით აღებული მაღლობი დაგვეტოვებინა. მდ. ჩებონიაშის ორსავ ნაპირას ჩვენი შეტევა გრძელდება. ვლახეთში მოპირდაპირე შეუჩერებლივ აწვება რუმინელების ჯარს, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იხევს. რუმინელების დახევის გამო მარცხენა ფრთაზე მყოფი ჩვენი ჯარიც უკან იხევს.

28 გიორგობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. დვინსკის ჩრდილოეთ მიდამოებში ჰაერში ბრძოლა მოხდა. ჩვენი საფრენი ძირს დაეშვა კოლუბის ტბის მიდამოებში, დვინსკის ჩრდილოეთით 25 ვერსზე. საფრენი დაიმსხვრა, მფრინავები უვნებლად გადარჩნენ. მეორე ბრძობა ილლიუქსტის მიდამოებში მოხდა. გერმანელების „ფოკერი“ ჩამოვაგდეთ. ჩვენი საფრენი დაზვერვის მერე დაბრუნდა სამშვიდობოში, თუმცა რამდენიმე ადგილას დახვრეტილია. დორნა-ვატრას ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მას მედგარ წინააღმდეგობას შეწევს მოპირდაპირე. ტროტუშის, სულტის და ჩემონიაშის ველებში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

კავკასიის ასპარეზი. ქამადანის მიმართულებით მოპირდაპირემ ზარბაზნები დაუშინა ფურიჯანის მიდამოებს და შეჯგუფებული რაზმებით დაეშვნენ ველად და აიღეს მარანსა და კურიანს შუა მდებარე ბორცვები.

რუმინიის ასპარეზი. ბუზეო-პლოეშტის გზატკეცილზე რუმინელებმა შეუტიეს და მოპირდაპირის ჯარი მდ. გრიკოვულის გაღმა გადარეკეს.

საბერძნეთი.

პარიზი. გამოამეღავნეს საბერძნეთის გარემოცვის თაობაზე გამოცემული დეკლარაცია: „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა, მოკავშირეთა თანხმობით, აცხადებს საბერძნეთის სანაპიროთა გარემოცვას. გარემოცვა იწყება 1916 წ. 25 გიორგობისთვე, დ ლის 8 საათიდან. მის ფარგალში შევა საბერძნეთის მთელი სანაპიროები და კუნძულები: ევბეი, ზანტე და სანტემარუა, აგრეთვე ყველა ის კუნძულები, რომლებიც საბერძნეთს ექვემდებარება ან საბერძნეთის მთავრობას უჭირავს. ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს თავისუფლად შეუძლიანთ ეს ფარგლები დასტოვონ 27 გიორგობისთვის დილის 8 საათამდე.

საზღვაო მთავარსარდალს განკარგულება აქვს მიცემული, ეს დეკლარაცია ადგილობრივ მთავრობას აცნობონ.

ლონდონი. ლლოიდ ჯორჯმა სამინისტროს შედგენა დაასრულა დღეს საღამოს. სამინისტროში შევიდნენ: ბონარლოუ—სამინისტროს კანცლერად, ბალფური—გარეშე საქმეთა მინისტრად, კარსონი—საზღვაო მინისტრად, დერბი—სამხედრო, ხენდერსენი—შრომისა, კერზონი—ინდოეთის საქმეთა, გრიფიტი—შინაგან საქმეთა, ბარნესი პენსიათა მინისტრად.

28 გიორგობისთვე.

ლონდონი. საღამოს ოფიც ცნობა. 26 გიორგობისთვეს დილით ჩვენი რაზმები გერმანელების თხრილები შეეჭრნენ სუშასა და ნეიტლსენ-ვაასტის მიდამოებში, მტერი დააზარალეს და ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველი.

ლეზარის დასავლეთით და იპრლა-ბასეს მიდამოებში გერმანელები მედგრად ისროდნენ ზარბაზნებს.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. 27 გიორგობისთვეს განთიადისას ფრანგების მფრინავებმა ბევრი ყუმბარები დაუშინეს მატინის გამეს და მონსვეშოსეს სარკინისგზო შენობებს და სამხედრო დაწესებულებათ.

ოდესა. ცნობა მოვიდა, რომ სანამ მოპირდაპირე პრახოვის ველში ნავთიან ადგილებს ჩაიგდებდა ხელში, რუმინელებს ნავთის სამრეწველოები მთლად დაუნგრევიათ, მანქანები გაუფუჭებიათ, ნავთით და ბენზინით სავსე აუზები დაუწვიათ მორენსა, შუშტენსა, პლოეშტსა, ტორგოვიშტსა და სხვა ადგილებში. ამბობენ, ერთი წელიწადი მაინც დასჭირდება მტერს, რომ მცირეოდენი ნავთი ამოიღოსო.

ოდესა. რუმინელების ცნობებით, მოპირდაპირეს რუმინეთის ასპარეზზე ჰყოლია სულ 1 მილიონი მეომარი. ამ ჯარს დიდძალი ზარბაზნები ჰქონია. უფროსებად მხოლოდ გერმანელები ჰყოლიათ.

ოდესა. ლტოლვილთა სიტყვით, ბუქარესტის დამხობის წინა დღეებში მოპირდაპირის მფრინავები თავს ესხმოდნენ ბუქარესტიდან მიმავალ მატარებლებს. მატარებლების სიმცირის გამო, ბუქარესტიდან ლტოლვილი ხალხი მიდიოდა ურმებით და ქვეითადაც. საქმის ასაშურებლად მატარებლებით მგზავრებს და ბარგს უშიშარ სადგურებამდე ეზიდებოდნენ და იქ სტოვებდნენ, რომ გამობრუნებულიყვნენ და ბუქარესტიდან ახლა სხვანი გაეყვანათ. ზომები მიიღეს, რომ სადგურებზე დატოვილი ხალხი და ბარგი ურმებით გაისტუმრომ გალაცსა და იასისაკენ.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: გერმანელების სავაჭრო გემი, უჩინრად შეიარაღებული შეუმჩნევიათ ატლანტის ოკეანეში 21 გიორგობისთვეს. საით მიემართებოდა გემი ვერ შეიტყვეს.

იასი. მეფეს ბრძანებით რუმინეთის პარლამენტის სხდომები ქრისტიშობისთვემდე გადაიდო.

23 გიორგობისთვეს მტრის ჯარი უბრძოლველად შევიდა ბუქარესტში. ამავე დროს მოპირდაპირემ დაიპყრო პლოეშტიც. მკვიდრთა უმეტესობა ადგილიდან არ დაძრულა, რადგანაც მთავრობამ განკარგულება მოახდინა, უგზოობისა, გრინვა-ყიამათისა და გზაში უსურსათობის გამო, მცხოვრებნი ადგილობრივ დარჩენილიყვნენ. დაჭრილები საავადმყოფოებიდან ადრევე გადაიყვანეს მოლდავიაში. ამბობენ, სანამ ბუქარესტში მტერი ფეხს შესდგამდა, ააფეთქეს თოფხანა, ტყვიაწამლის ქარხნები და სხვა სამხედრო დაწესებულებანიო.

ჰაგა, გერმანელებმა დაატყვევეს ჰოლანდიის გემი „კალედონია“, რომელიც ბამბით იყო დატვირთული და ინგლისისაკენ მიემართებოდა.

ოდესა. ლტოლვილთა სიტყვით, რუმინეთის დედოფალი 19 გიორგობისთვეს გავიდა ბუქარესტიდან. ბოლო დრომდე ბუქარესტში დარჩა ქალაქის დაცლის ხელმძღვანელი საზოგადო სამუშაოთა და გზათა მინისტრი ანჟელსკუ. მატარებლების წესიერი მიმოსვლა 20 გიორგობისთვემდე სწარმოებდა, მერე შემთხვევითი მატარებლები თუ გადიოდა ბუქარესტიდან. ქალაქის დაცლის ფაცაფუცის დროს ბუქარესტში მოვიდნენ გერმანელების მოტრფიალე კარპი და მარგილომანი. ზოგიერთის აზრით, მათ განზრახვა ჰქონდათ თავისი გავლენა მოეხდინათ გერმანელებზე და ეთხოვათ, ბუქარესტს ნუ დაანგრევთ, კრაიეოვსა და ჟურჟევოსავითაო. ხმა დადის, კარპს გერმანელების ბუქარესტის ქალაქის მოურავად ჰნიშნავენო.

ალექსანდროვსკი. ქალაქმა გერმანელებისაგან შეიძინა ხორტიცის კუნძული, ძველი „ზაპოროჟის სეჩი“. შეუძენიათ სულ 2500 დესეტინა, თითო დესეტინა 3000 მანეთად.

სოლუნი. გუშინ აქ მოვიდა ორი ტრანსპორტი ათინიდან და პირეიდან გამოქცეულებით.

საბერძნეთის გემს „გიდრა“-ს ხელში ჩაჰვარდნია შიფრიანი დეპეშა მეფე კონსტანტინესი და დედოფალ სოფიისა გერმანეთის იმპერატორთან გაგზავნილი.

ამბობენ უმავთულო ტელეგრაფით ერთმანეთს გამოელაპარაკნენ ათინისა და სოფიის მთავრობანიო.

პარიზი. საზღვაო სამინისტრო იტყობინება: ჯავშნოსანი „სუფრენ“-ი, რომელიც 11 გიორგობისთვეს ლორიანისაკენ გაემართა დანიშნულებისამებრ არ მისულა და დაღუპულად უნდა ჩაითვალოსო. გემზე იყო 18 აფიცერი და 700 ჯარისკაცი.

ოდესა. გერმანელ-ბულგარელნი დიდის სისწრაფით ამაგრებენ კრაიეოსა და ჟურჟევოს მიდამოებს. მოუზიდნიათ დიდძალი მავთული და სხვა მასალა, აგებენ რკინისა და ბეტონის სიმაგრეებს. სამუშაოდ გაუყვანიათ ადგილობრივი მოსახლეობა 14 წლიდან დაწყებული.

პარიზი. დილით ელისეს სასახლეში მინისტრთა საბჭოს თათბირი მოხდა პრეზიდენტ პუანკარეს თავმჯდომარეობით. თათბირზე განიხილეს სამხედრო, საზღვაო და დიპლომატიური საკითხები.

ქურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთის ბედი

საერთო მდგომარეობა

რუმინეთის საბედისწერო წამმა გადაიარა. მისი ბურთი ძლევ-მოსილმა მოპირდაპირემ გაიგდო და ახლა მოედნის სანაპიროსაკენ მიაქანებს. სამშობლოს მოსიყვარულე მამულიშვილნი მახვილ-ამართულნი თავგანწირვით ზედ ენარცხებიან ფეხ და ფეხ მიმდევარ მოზღვავებულ მტრის რაზმებს და უილაჯო ბრძოლაში პირნათლად ეწირებიან თავის ტკბილ საგონებელ სამშობლოს.

დაემხო დედაგული რუმინელებისა—ბუქარესტი—და მის მკვიდრთ უიმედობის რიდე გადაეფარა. მოპირდაპირე, თურმე მილიონი ჯარით გარემოსდგომოდა რუმინეთის მიწა-წყალს და დაუნდობელის კადნიერებით, რკინის სალტეებში მოემწყვდია რუმინელ მამულიშვილთა შედარებით მცირე რიცხოვანი ლაშქარი. რუმინელებმა ადგილ-მამულის დატოვება ირჩიეს მტერთან შენარცხებაში გაჭლეტას და სატახტო ქალაქიც უბრძოლველად ჩაუგდეს მტერს ხელში. ბუქარესტიდან აღმოსავლეთისაკენ დაიძრა ჯარი. მას წინ ასწრებს თავზარდაცემული მოსახლეობა, თავის მშობლიურ კერას გაურბის იგი მატარებლით, ურმებით, ცხენებით, თუ ქვეითად. მთელი რუმინეთი, შეიარაღებული თუ უიარაღო აყრილა ადგილიდან და გარბის, რათა თავი შეაფაროს რუსეთის ფართე და ძლიერს კალთას. ყველას გალეჩილსაკენ უქნია პირი, მაგრამ საშინელებას ისიც აორკეცებს, რომ აღმოსავლეთისაკენ მხოლოდ ერთი რკინის გზის ლიანდაგი მიდის და რომელ ერთს გასწვდება. საბარგო თუ სახალხო მატარებლები ბუქარესტიდან, თურმე, მახლობელ სადგურებამდე ეზიდებიან ხალხსა და ბარგს. იქა სტოვებენ და კვლავ უკანვე ბრუნდებიან, რომ ახალი წყება ლტოლვილთა გაარიდონ ბრძოლის ასპარეზს... მოპირდაპირესაც კი როდის სძინავს. იგი ფეხდაფეხ ზურგში მისდევს ლტოლვილთ და ამოსუნთქვის გასაქანს არ აძლევს. მარჯვენა ფრთაზე მომქმედ რუმინელთა ჯარის უკან დახევას ბუნებრივის აუცილებლობით მარცხენა ფრთაზე მომქმედ რუსეთის მაშველი ჯარის უკან დახვევაც მოჰყვა. შესძლებს რუმინელთა ზურგის ჯარი ბრძოლით უკანდახევის დროს შეაფერხოს მტრის მდევარი რაზმები და მიაღწიოს აღთქმის ქვეყნამდე, ეს სადღეს-ხვალიო საკითხია. უეჭველია რუსეთის ჯარი ჩვეულებრივის თავგანწირულებით გამოესარჩლება ნაპრალის პირად მისულს რუმინელების ლაშქარს და მტრის გულისად არ გაჰხდის.

რას მოასწავებს?

როგორც დეპეშით იტყობინებიან, ბუქარესტის დამხობამდე 10 დღის წინად, ბუქარესტიდან გასულან უცხოეთის საელჩოები და მთავრობა. ადგილობრივ დარჩენილან გერმანელების მოტრფიალე ნამინისტრალი მოხუცი კარპი, რომელიც დიდი მოწინააღმდეგე იყო რუმინეთის ომში ჩაბმისა, მარგილომანი და სხვანი. მათ განზრახვა აქვთ დროებითი მთავრობა შეადგინონ. ამ საქმეში, თურმე, დიდს მონაწილეობას ღებულობს რუმინეთის მეფის ძმა ვილჰელმი, რომელსაც ტახტზე უარი განუცხადებია 1886 წელს და ეხლა ავსტრია-გერმანელების ჯარში მსახურობს.

უგზოობის გასაჭირი

„რუს. ინვ.“ სწერს: თუ მხედველობაში მივიღებთ ბუქარესტ-პლოეშტის რკინის გზის კვანძის მნიშვნელობას, არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, რომ რაკი მოპირდაპირემ ეს ხაზი ხელში ჩაიგდო, დუნაისა და რუმინეთში შეჭრილ კარპატებ შუა მყოფი ჯარი მეტად მძიმე გარემოებაში ჩავარდა. ანგარიში უნდა გაუწიოთ გზების სიმცირეს მით უმეტეს, რომ ბუქარესტის აღმოსავლეთით თავმოყრილ რუმინელთა და ჩვენი ჯარებისათვის გასაშლელი და სამოქმეოო სივრცე არ მოიპოვება. ფაქტებს ანგარიში უნდა გაეწიოს იმისდა მიხედვით კი არა, თუ რა შთაბეჭდილებას მივიღებთ, არამედ იმის და კვალად, თუ რა შედეგი მოჰყვება.

მდგომარეობა დამაფიქრებელია

„რუს. ინვ.“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: რაკი რუმინეთის ასპარეზზე მოპირდაპირემ შესძლო ბრძოლის ხაზის შემოკლება ერთი ოთხად, აუცილებელია სალონიკის ასპარეზზე მოქმედებას გააცხოველებსო.

საბერძნეთის ამოძრავებაც ადასტურებს, რომ იქ საკმაოდ კარგად გაითვალისწინეს, თუ რა გასაჭირში ჩავარდება გენ. სარაილი.

ერთად ერთი ხსნა ამ გასაჭირიდან გამოსვლისა ისევ ბუქარესტის გზით ბრძოლის გაჩაღებაა.

მაკენზენი

როგორც დეპეშით იტყობინებიან, ფელდმარშალი მაკენზენი დაუნიშნავთ რუმინეთში მომქმედ მთელი ჯარის მთავარსარდლად. ამის გამო საფიქრებელია, რომ ფალკენჰაინი სადმე ახალ ასპარეზზე გადაიყვანეს.

ბრძოლის ხაზი

რუმინეთის ბრძოლის ხაზი, ბუქარესტის დამხობით 600 ვერსით შემოკლდა. ეხლა ხაზი ასე გადის: დორნა-ვატრა-კრონშტატი - ბუქარესტი-სილისტრია-კონსტანცა.

საბერძნეთი

ბუქარესტის დამხობამ საბერძნეთს ნიღაბი აახდევინა. მისი მთავრობა ნამდვილი თავისი სახით და გულის ზრახვით გამოეცხადა მოკავშირეებს. იძულებითი „დათმობანი“ უკანვე წაიღო მეფე კონსტანტინემ და თავის სატახტო ქალაქიდან ბრძოლის მუქარით ადმირალ ფურნიეს ჯარი გააყვანინა, რომელიც პირეთში დაბანაკდა. თუმცა წინადაც აქა-იქ გაისმოდა ხმა, საბერძნეთი მოკავშირეებს ორპირ იანუსის მსგავსად ეექცევაო, მაგრამ ეხლა თითქმის ყველა გაზეთები აშკარად ამბობენ, საბერძნეთი გერმანელებს მიემხრობა და ომში ჩაერევაო.

სახიფათო ნიშნები

„რეზ“-ი გადმოგვცემს, რომ ათინაში სათადარიგო ჯარისკაცები მეტად კადნიერად და ურიდათ იქცევიან. ისინი ვენიზელოსის მომხრეთა ბინებს წითელ ნიშნებს ასობენ. მერე ჩამოუვლიან კარდაკარ, ჰხოცავენ და ბევრს ატუსაღებენ. 18 გიორგობისთვეს სამასამდე მოუკლავთ და ათასამდე დაუტუსაღებიათ.

ჯარის შევსება

ათინასა და სხვა ქალაქებში მყოფ საბერძნეთის ჯარს სათადარიგო ჯარისკაცებით აძლიერებენ. დეპეშათა საგენტოს სიტყვით, მდგომარეობა მეტისმეტათ მწვავე და სახიფათოა.

ფრანგების ზარალი

19 გიორგობისთვეს ათინაში მომხდარ ბრძოლის დროს მოუკლავთ 30 ფრანგი მეზღვაური, 8 ინგლისელი და 40 ინგლისელი მეზღვაური დაუჭრიათ.

დუსმანისის სამზადისი

მეფე კონსტანტინეს სამსახურში დაუბრუნებია გერმანელების მოტრფიალე გენერლები, რომლებშიც მოკავშირეთა მოთხოვნილებით გადაყენებულნი იყვნენ. დუსმანისი მოკავშირეთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად სამზადისს შეუდგა.

უცხოელთა გარიდება

„დეილი ტელ.“-ის ცნობებით, ათინაში მყოფ უცხოეთის ქვეშევრდომთ უცხოეთის ელჩებმა ურჩიეს, დროებით პირეიაში შეაფარეთ თქვენი სახლობაო. მოკავშირეთა დესპანები გემ „ბუკარესტ“-ზე შეიხიზნულან.

საბერძნეთის დესპანები

ლონდონსა და პარიზში მყოფმა საბერძნეთის დესპანებმა და საელჩოს წევრებმა რწმუნებულობაზე ხელი აიღეს.

საბერძნეთი ომობს

„რეჩ“-ი მეთაურ წერილს უძღვნის საბერძნეთის ვითარებას და სწერს: მეფე კონსტანტინემ მთავრობის სათავეში კვლავ ჩააყენა მოკავშირეთა დაუძინებელი მტერი, საბერძნეთის მთავარშტაბის ნაუფროსალი გენ. დუსმანისი და მისი მარჯვენა ხელი პოლკ. მეტაკსასი. ეს უკვე უბრალო ყოყლოჩინობა კი არა, ნამდვილი გამოწვევაა მოკავშირეებისა. მოკლეთ რომ ითქვას, საბერძნეთმა ომის გამოუცხადებლად სამტრო მოქმედება უკვე დაგვიწყო. ორი ზარბაზნის დაცლა იყო ძნელი, თორემ ეხლა ადვილად მოჰყვება ბევრიც. ბერძნებს როდი ეშურებათ მოკავშირეებზე გალაშქრება. მათ ურჩევნიათ ხმალი ქარქაშიდან არ დასძრან, სანამ ბულგარეთ-გერმანეთის ჯარი რუმინეთის ასპარეზზე ხელფეხს გაიხსნის და საბერძნეთის საშველად გაეშურება სარაილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ათინის ქუჩებში

ათინაში ბრძოლის საქმე, „რ. სლ.“ თანამშრომელ ივ. დნეპროვის ცნობებით, მეფეს და სამხედრო კავშირს მოუწყვია. ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია ვინტოვკებით და ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებულ [illegible] ებს და მთავრობის [illegible] ვე დროს დაჰრეკვიან ვენიზელოსის მომხრეთა სახლებს, მაღაზიებს, სასტუმროებს. აუკლიათ ინგლისელთა სკოლა, სადაც შვეიცარიც დაუჭრიათ.

ტახტის მემკვიდრე და ყველა ოფიცრები ქუჩებში ხალხს აქეზებდნენ თურმე. მეფე და დედოფალმა ჩამოუარეს ფრანგების მეზღვაურებზე თავდამსხმელ რაზმებს და გულითადი სალამი მისცეს.

ვენიზელოსის მომხრე გაზეთების რედაქციები აიკლეს. რედაქტორები და თანამშრომლები დაატუსაღეს. ზოგიერთი მათგანი დასჭრეს კიდეც.

არეულობის დროს ბევრი უცხოელი დაზარალდა. იმ სასტუმროს, სადაც სერბიელები იყვნენ, მეფის ჯარმა რამდენჯერმე სროლა აუტეხა.

ხალმარი სამზადისი

კორინთსა და კოლხიდაში მთავრობის ორი პოლკი მივიდა. ლამიიდან მეხუთე კორპუსის ნაწილი დაიძრა. ათინის გარემოს მდებარე მაღლობებზე სანგრებსა სთხრიან და ზარბაზნს იწყობენ. სწრაფი მობილიზაცია სწარმოებს- დუსმანისი და გერმანელების მონხრე სხვა სამხედრო პირნი ვეფის ჯარს უბრუნდებიან. დღეს-ხვალ ეპირზე გალაშქრებას ელიან.

ჯოჯოხეთის მანქანა

სალონიკში ერთს დუქანში უპოვნიათ ერთი ყუთი ჯოჯოხეთის მანქანით და ოთხი ყუმბარით. გამოირკვა, რომ ვენიზელოსისა და დროებითი მთავრობის აფეთქება ჰქონიათ განზრახული!

რუსეთის ასპარეზი

ბრძოლის ხაზი და ჯარის რაოდენობა

ბუქარესტის დამხობამდე რუსეთის დასავლეთი ბრძოლის ხაზი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ორი ათას ოთხას ვერსზე იყო გაჭიმული. ბუქარესტის დამხობით ეს მანძილი 600 ვერსით შემოკლდა. ეხლა ბრძოლის ხაზი 1800 ვერსს უდრის.

რიგიდან კონსტანცამდე მოპირდაპირეს დღეს ჰყოლია სულ 160 დივიზია.

მაკედონია

ამბობენ, ფელდმარშალი მაკენზენი ეხლა ბულგარელ-ოსმალთა ჯარსაც შეიმატებს და მაკედონია - ალბანეთში დაიწყებს მოქმედებას გენ. სარაილის წინააღმდეგაო. ამ საქმეში, ალბად, ბერძნებიც წაეხმარებიან. მაკედონიაში ეხლა მხოლოდ 20 დივიზია ჰყოლია მოპირდაპირეს.

უკანასკნელი ცნობები

პარიზში გარდაიცვალა მეცნიერი ეკონომისტი, ინსტიტუტის წევრი, პოლ. ლერუა-ბოლიე, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილია თავისის წერილებით რუსეთის შესახებ.

—

ტოკიოში გარდაიცვალა ფელდმარშალი თ-დი ოიამა. როგორც მკითხველს ეხსომება, ოიამა იაპონიის ლაშქრისა და ფლოტის მთავარსარდალი იყო რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

—

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი ფილოსოფოსი ფსიხოლოგი თეოდულ რიბო, წევრი საპოლიტიკო მეცნიერებათა აკადემიისა.

—

გაზეთებში ცნობაა მოთავსებული, რუმინეთის მეფისათვის იალტაში სახახლეს ამზადებენო.

—

„რუს. ინვ.“ ცნობით, ადვილი შესაძლებელია, რომ შეტაკების ახალი ფრონტი ბუზეო-კოლდარეშტის ხაზისკენ დასავლეთით გადაიხაროს. რუმინელებმა ჰახრაკს თავი დაახწიეს და მოპირდაპირეს პირისპირ შეეჯახნენ. აქ რუსის ჯარი მათ მეგობრულად მხარს უჭერს.

ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თიანეთის განყოფილებას გადაუწყვიტია: ხევსურთათვის დაარსდეს სკოლა სოფ. როშკაში, 60—70 ბავშვთათვის. სკოლასთან თავშესაფარი უნდა მოეწყოს. სასკოლო შენობისათვის ამ თავითვე საჭიროა 4000 მანეთი. გარდა ამისა, განყოფილების აზრით, საზოგადოებამ უნდა იკისროს ხევსურთა 11—12 ბავშვის გამოზდა თავისი ხარჯით თიონეთის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში. თითო ბავშვის შესანახად წელიწადში დაიხარჯება 300 მანეთი.

სახელმწიფო სესხის განაღდება. 27 ამა თვეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, წვრილი კრედიტის ინსპექტორის დ.

ყ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, მოხდა თბილისის მაზრის (გარდა ივრის ხეობისა) წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე მეორე სახელმწიფო სესხის განაღდებაში.

◆ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 11 ქრისტეშობისთვეს „ახალ კლუბი"-ს დარბაზში.

◆ **საქველმოქმედო საღამო.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, თავის ქონებრივ სახსართა გასაძლიერებლად, 7 ქრისტეშობისთვეს გამართოს „ახალი კლუბის" დარბაზში საღამო.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება გაიმართა შაბათს, გიორგობისთვის 26. ექიმთა საზოგადოების დარბაზში. კრება, ჩვეულებისამებრ საღამოს სრულ 8 საათზე დაიწყო. მოხსენება წაიკითხა ბ-მა ია კარგარეთელმა შემდეგ სათაურით: „ქართულ ენის სიმდიდრე სამუსიკო თერმინებით". შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გ. იმნაიშვილმა, კ. ყიფიანმა და სხვ. კრება საღამოს 10 საათზე დაიშალა. შემდეგ მოხსენებას წაიკითხავს საზოგადოების თავმჯდომარე გ. თ. ჟორდანია—ამიერკავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრება, 6 ქრისტეშობისთვეს მოხდება.

ძალაძის დაფესებულებანი.

◆ **ფულის გადადება.** ქალაქთა კავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო კავშირის განყოფილებისაგან 100,000 მანეთი მიმდინარე ხარჯების გასაძღოლად.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ხასურსათო კრიზისი.** თბილისს ჩამოვიდა ბორჯომის მადნეულ წყლების დირექტორი ბ-ნი ვინოგრადოვი და თბილისის გუბერნატორს სთხოვა ბორჯომისათვის 500 ფუთი შაქარი და 2 ვაგ. ფქვილი. ბ-ნ ვინოგრადოვის სიტყვით, ბორჯომი დიდ გაჭირვებას განიცდის, ამ ჟამად არც რამე სურსათ-სანოვაგეა და აღარც ნავთი.

◆ **იხტორიკოს თ. ჟორდანიას** სულის მოსახსენებლათ დღეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

◆ **მმართველის მოწვევა.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საბჭომ ამ კავშირის მესამე გამგედ მოიწვია პეტროგრადიდან ბატონი შენიტოვი, რომელიც საკოოპერაციო საქმის მცოდნედ ითვლება მთელ რუსეთში, თვიურ ჯამაგირად დაენიშნა 450 მან. ბ-ნი შემიტოვი უკვე ჩამოვიდა თბილისს და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ **ბაქანის გახსნა.** კვირას, 27 ამა თვეს, ავჭალაში, ქალაქის წყლის ბაკებთან, გაიხსნა რკინის გზის ბაქანი. წყლის არხის იქაურმა მოსამსახურეებმა, რომელთაც ამ ბაქანის გახსნით დიდი შეღავათი ეძლევათ, სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნეს ქ ლაქის გამგეობის წევრს ა. მ. არღუთინსკის და აგრეთვე საჩუქრად ვერცხლის სათამბაქო მიართვეს ინჟენერ ვაწაძეს, რადგან ამ ორმა კაცმა ბევრი იშრომა ბაქანის გახსნისათვის.

ჟუთაისი.

ქუთაისის პოლიციმეისტერს გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს მის სამმართველოსთან საადრესო სტოლის დაარსების შესახებ.

ქიზიყი.

— ქიზიყის სოფლები წყლს შიმშილს განიცდიან. კოოპერატივებმა რამდენიმე ვაგონი ფქვილი და ხორბალი მოიტანეს, მაგრამ აბა ეს რას უზამს! სიღნაღის მაზრის კოოპერატივებმა და სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოიწერეს ჩრდილოეთ კავკასიიდან 215 ვაგონი ფქვილი, ხორბალი და ხიმინდი, მაგრამ ჯერ არაფერი მიუღიათ, თუმცა მათი წარმომადგენელი გაგზავნილია სტავროპოლის გუბერნიაში და მოკლე ხანში იმედია მიიღონ.

მთავრობამაც დაურიგა რამდენიმე ვაგონი ხორბალი ბაკურციხის საბოქაულოს სოფლებს.

სიღნაღის მამასახლისმაც მოიტანა რამდენიმე ვაგონი ფქვილი, მაგრამ არ ვიცით, რა მიზეზით, ძალიან ძვირათ ჰყიდიან—4 მან. ფუთს ხრილს და აქასთან არც არის კარგი თვისებისა. თუმცა დამშეულს და გაჭირებულს ხალხს მიაქვს ეს უხეირო ფქვილი, მაინც საინტერესოა ვიცოდეთ—რათ იყიდება ესე ძვირათ მაშინ, როდესაც კოოპერატივები და თვით მთავრობაც ფუთს ხორბალს 2 მან. 40 კაპ. ურიგებს ხალხს.

ქართული პოლკი და დროშის ჩაბარება

გუშინ ამბად გვქონდა მოხსენებული, რომ ალექსანდრე ნეველის ტაძრის გალავანში მეფის ნაცვლის თანადასწრებით ქართველ ცხენოსან პოლკს დროშა ჩააბარესო. მეფის ნაცვალმა უმოწყალესის სიტყვით მიჰმართა. სამღვდელოების მიერ დალოცვის შემშემდეგ თავად-აზნაურობის წინამძღოლმა დ. ე. ჩოლოყაშვილმა ქართველთა ლაშქარს მგრძნობიერის სიტყვით მიჰმართა:

ძმანო ქართველნო! ქართველი თავად-აზნაურობა თქვენ, საომრად გამზადებულთ, გლოცავთ ივერიის განმანათლებელ ნინოს უძველეს ხატით, მისმან მადლმაცა გაგაბრწყინოსთ ცხოვრების ყოველსა ჟამსა. ყველა ქართველის მიერ განსაკუთრებით პატივცემულ წმ. ძლევამოსილ გიორგის დღესასწაულის დღეს თქვენ ღირს იქმენით პატივისცემისა რუსეთის მიწათა თვითმპყრობელ წინამძღოლის ბრძანებით, მის ნაცვლის, ჩვენის გულითად საყვარელის, მეორე სამშობლო ომის მეფურ გმირის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიერ გადმოგეცათ დროშა წმ. ძლევამოსილ გიორგისა, რომლის საფარველსა ქვეშე იკრიბებოდნენ ჩვენნი წინაპარნი მამულისა და დიდის სამშობლოს დასაცავად. ეს დროშა, როგორც მოციქულთა თანასწორის ნინოს ხატი, წმიდა არს თქვენთვის! იგი შეღებილია სისხლით, შემოსილია სულის სიდიადით და შათდამი ერთგულების მოვალეობით, რომელთა გულისთვის ბრძოლის ველზე არა ერთხელ აფრიალებულა. ეს ნიშანია გამარჯვებისა და ჩვენ, რომელნიც გლოცავთ გამარჯვებისა და თავის განწირვისთვის, ღრმად გვწამს, ეს საბრძოლველი სიწმიდე კიდევ მრავალ ახალ გამარჯვების მოწმე შეიქნება და როგორც ხალხური წმიდა ნაშთი შთამომავლობისაგან შთამომავლობას გარდაეცემა.

ახლანდელმა ხალხის ნათესავთა მიერ ჯერ უხილველმა ომმა ნათლად გვიჩვენა, რომ პატარა საქართველოს შვილთა გულში არ ჩამქრალა და არც დაკნინებულა ძველი მეომრული შნო და ღირსება!

ძმანო! თქვენი მამები, ძმები და ნათესავები ყოველ ბრძოლის ველზე გმირულად იბრძვიან მხარდამხარ დიდ რუსეთის ღირსეულ შვილებთან და მათ თავიანთის გამარჯვებით შემოსეს დიდებული სახელით ქართველი ერი.

ბევრი თქვენგანი ჩაბმულა სისხლის მღვრეულს და სასტიკ ბრძოლაში და ბევრს თქვენგანს კიდეც დაუმსახურნია გმირის სახელი ისევე, როგორც დაუმსახურნია თქვენს უალრესად გულადს სარდალს თ-დ დავით ზაქარიას ძეს ჭავჭავაძეს.

იყავით შემდეგშიაც ღირსნი უმაღლესად ბოძებულ ძველ წმ. გიორგის დროშისა და თქვენთა სახელოვან წინაპართა.

მადლი წმ. ნინოსი იყავნ თქვენთან!

სიტყვა ა. ი. ხატისოვისა.

თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ! ბ ნო კომანდირო! ბ-ნნო ოფიცერნო და ჯარისკაცნო—საქართველოს ძენ!

საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქის, თბილისის სახელით ამ საზეიმო დღეს მივესალმები ქართველ ცხენოსან პოლკს აღდგენას, რომელ პოლკსაც გარდაეცა წინაპართა დიდებით შემოსილი და სისხლით შეღებილი დროშა. საქართველოს ძეთა ძველთაგანვე შეეძლოთ თავის სისხლით დაეცვათ სამშობლო და წმ. ჯვარი, მაშ დაე ასჯერ და ათასჯერ წმ. ძლევამოსილ გიორგის მფარველობით ქართულს ცხენოსანს პოლკს დაემტკიცებინოს დიდება და სიამაყე საქართველოსი. თქვენ წინ მიგიძღვით ომში სახელგანთქმული თ-დი ჭავჭავაძე—შვილი კავკასიის გმირის თ-დ ზაქარია ჭავჭავაძისა. მრავალ თქვენგანის გულმკერდი შემკობილია წმ. გიორგის ჯვრით; როგორც თქვენს წინაპრებს, ისე თქვენ ვერ შეგაშინებსთ ვერცა სასტიკი სიკვდილი და ვერც ბრძოლის გრიგალი. ომის ზარსა და გრგვინვას შეჩვეულნი ხართ. გახსოვდეთ, როცა თქვენ დიდის რუსეთისთვის იბრძვით, ადიდებთ თქვენს სამშობლო საქართველოსაც. დაე, თბილისის სახელით მოტანილი წმინდა ხატი გფარვიდეთ სასტიკ ბრძოლის ქარიშხალში და უკან დაგაბრუნოთ მყუდრო ცხოვრების მოსაწყობად. გახსოვდეთ, მწუხარებისა და სიხარულის დროს თქვენთან არს ლოცვა ძველის თბილისისა, რომ თქვენი გამარჯვება ჩვენში სასიხარულო გამოძახილი იქნება და მძიმე ჟამს თქვენთან ერთად ვიქნებით. გაუმარჯოს დიდ რუსეთის არმიას! გაუმარჯოს ქართულ ცხენოსანს პოლკს და მის სახელოვან უფროსს!

მეასე სიტყვა

ჰეშმარიტად სამწუხაროა ალექსანდრ ივანიჩის ასეთი დაუდგრომელი ხასიათი! კაცი ქალაქის თავია, მთელი ექვსას ათასი მცხოვრების მოურავი და ამდენი ხალხის თვალში წლობით შეძენილი პრესტიჟის ერთბაშად დაკარგვა სწორედ რომ დიდი უბედურებაა. თანამედროვე ლექსიკონით რომ ვილაპარაკოთ, ასეთი უბედურება გენერალური ბრძოლის წაგებას უდრის. სწორედ ასეთი გენერალური ბრძოლა ალექსანდრე ივანიჩმა წააგო 26 გიორგობისთვეს 12 საათზე, ქ. თბილისში, ალექსანდრეს სამხედრო ტაძრის გალავანში! შეუძლებელი იყო, ეს ასე რომ არ მომხდარიყო. რას გახდებოდა ერთად-ერთი ალექსანდრე ივანიჩი და ისიც ხელცარიელი ქართველთა მთელი შეიარაღებული პოლკის წინაშე. ბრძოლა მეტად უსწორო პირობებში სწარმოებდა, ამიტომაც დამარცხებაც სასირცხვოდ ვერ ჩაითვლება! მაგრამ მაინც სამწუხაროა!

ოთხმოცდა ცხრამეტ საზეიმო სიტყვაში, სამხრეთელი კაცის პაფოსის შესაფერისად წარმოთქმულში, ალექსანდრე ივანიჩმა მისდამი რწმუნებულ თბილისს ჩამოხსნა გვირგვინი საქართველოს დედა-ქალაქობისა და უწოდა მრავალ-ტომოვანი კავკასიის უძველესი ქალაქი. ასე იყო ხელმწიფე იმპერატორის ჩამობრძანების დროს, ასე იყო მეფის ნაცვლის ჩამობრძანების დროსაც, ასე იყო ვოლერი ბრიუსოვის პატივცემის ცერემონიალის დროს, ასე იყო მესროპის ასტრახანში გასტუმრების დროსაც. ასე იყო ყოველთვის... სიტყვას თვისი გავლენა აქვს, მერე მჭერმეტყველ სიტყვას, მერე კიდევ მოურავისას... ყველა ვეჩვეოდით, რომ თბილისი საქართველოს დედა-ქალაქი იყო. ჰქრებოდა უკანასკნელი ხსოვნა თბილისის გვირგვინოსნობისა, ვკარგავდით ეროვნულ სახეს და თბილისიანა მრავალ-ტომოვან კავკასიის მრავალტომოვან მკვიდრად გარდვიქცეოდით, რომ უცებ, მოხდა საშინელი წაჯიქ-უკუჯიქობა! ალექსანდრე ივანიჩმა გარდმოაფქვია მეასე სიტყვა და მოახდინა საშინელი coup d'etat, და მთელი მსოფლმხედველობა" პირქვე დაგვიმხო, ზათქით და ზეიმით გამოაცხადა, ქართველთა პოლკის წინაშე, მეფის ნაცვლის გვერდითვე, რომ თბილისი საქართველოს ძველი დედა-ქალაქი იყო, და ამ ძველი დედაქალაქის სახელით მოურავმა გზა დაულოცა ლაშქარს წამსვლელთ!..

საქართველოს შვილნი... თვალთ სინათლე დავკარგეთ, გონება დაგვიბნელდა, არაფერი გვესმის! ან რად შეგვაჩვია დალოცვილის შვილმა იმ აზრს, რომ თბილისი მრავალტომოვან კავკასიის ძველი ქალაქი იყო, ან რად გვიმსხვრია იმ ულმერთომ, იმან ასე დაუნდობლად და მწარედ ეს ტკბილი წარმოდგენა?!

ვაიმე, დაღუპულო წარმოდგენავ. გვითხარით, მოურავო, რომელი თქვენი სიტყვა ვიწამოთ, წინანდელი სანეტარო ოთხმოცდა-ცხრამეტი, თუ ეს საბედნიერო მეასე? ხალხი მორჩილი, თბილისა შინა ბინადარი, შენგან მოელის პასუხსა მართალს.

ყაფლან-ფაშა.

დავით ხიზანაშვილის ხსოვნას!..

უცხო, გარეწრის მზაკვრმა ხელმა, ჩვენს სამშობლოს აზრთა დენას ჩამოგვაშორა... სულით ფაქიზი, მხურვალე პატრიოტი გულით, მოსწყვიტა მშობელ ცისკიდურს...

მთიელთა მესაიდუმლევ, შენ არ გეღირსა მთიელთა მარსელიეზის „აღსდეგ გმირთ-გმირო"-ს შესრულების აღფრთოვანების ძახილი... დაბოლოს ვინ იყავ შენ?

უბრალო ჩობანი ფშაველის შვილი, ქვრივ ობლობაში აღზრდილი სადმე ცხვარში...

გარემოებამ ქალაქის მორევში გადმოგტყორცნა...

სასამართოს ბოქაული... მხოლოდ წუთიერად კი; წუთს შემდეგ კი ისევ დავით ხიზანაშვილი, აღმწერი შენთა თანამოძმეთა სულის კვეთებისა, ჭირია, უბედობისა.

კერძოთ?

ვის ჩავარდნოდი თვალში, რომ თვალები მეეფშვნიტა?

სანატრელ სტუმრად ვის ოჯახში არ ითვლებოდ?

ან სად შეხვიდოდი, თუ არა მოკრძალებით და ფეხაკრეფით, შენ, დარბაისლობისა და მშობელ კერის ნამუსიანობის გუშაგო?!..

აკი შეშურდათ შენი სულიერი სალ-კლდეობა და შენს მაჰა-პაპეულთა ნაანდერძევის გაფრთხილებადაცვაში ბოლო მოგიღეს...

უცხო გარეწართა!..

— „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ"—მერე მოვსთხოვოთ...

ჯერ კი წყნარად და ღვთით განისვეხე იქ, საცა „არა არს ჭირი, მწუხარება, არვა უხვა"...

დ. პ—ლი.

„განათლების" საზოგადოების წლიური კრება

27 გიორგობისთვე.

დღის 12 საათზე, კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა ან. მ. წერეთლისამ. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. ვ. გ. მაჩაბელი, ხოლო მდივნად ბ-ნი შ. ქარუმიძე. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ე. ი. სარაჯიშვილისა, ალ. ყიფშიძის, ირ. ევდოშვილის, ლ. დარჩიაშვილის და თ. ჟორდანიას ხსოვნას.

განხილულ იქმნა წარსულ (1915—1916) სამოსწავლო წლის ანგარიში, რომელშიაც დასურათხატებულია მდგომარეობა საზოგადოების სასწავლებლებისა, აღნუსხულია საზოგადოების მოქმედება და ნაჩვენებია ფინანსიური მდგომარეობა საზოგადოებისა.

საზოგადოებას, როგორც ვიცით, აქვს ქალთა სასწავლებელი, რომელშიაც არის 3 მოსამზადებელი და 4 პროგიმნაზიული კლასები. საანგარიშო წლის დასაწყისში სასწავლებელში ირიცხებოდა 314 მოწაფე. წლის განმავლობაში სასწავლებლიდან გასულა 19 მოწაფე. ამ მოვლენის მიზეზი უმეტეს ნაწილად სასწავლო ფულის შემოუტანლობა ყოფილა. სასწავლებელში ირიცხებოდნენ: თავად-აზნაურთა წოდების 65 მოსწავლე, სასულიერო წოდებისა 30, გლეხებისა 50 და დანარჩენნი მოქალაქეთა შვილები. მოწაფეთა უმრავლესობა ეკუთვნის ქართველ საზოგადოების უღარიბეს ოჯახებს—ხელოსნებს, დღიურ მუშებს, მოსამსახურეებს და სხ.

საზოგადოების გულმოდგინე მეცადინეობით დაარსებულ იქმნა სამასწავლებლო სემინარიის პირველი კლასი, რომელშიაც შეივიდა სასწავლებლის მეოთხე კლასში კურს დამთავრებული 30 ქალი.

საზოგადოებას აქვს აგრეთვე სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც წინად მოთავსებული იყო პროგიმნაზიულ სასწავლებელში, მაგ. 1915 წლის ბოლოს იგი გატანილ იქმნა სოლომონ კიპრიზოვის მიერ ნაანდერძევ სახლებში. ამ სასწავლებელში ირიცხება 60 მოსწავლე.

მიუხედავად საერთო გაჭირვებისა, სწავლის ფული შესულა სასწავლებელში 6,555 მან. და მოწაფეებზე ვალად დარჩენილა მხოლოდ 400 მან. 40 მოსწავლე ქალი სწავლის ფულისაგან იყო განთავისუფლებული. გარდა ამისა უსასყიდლოდ სწავლობდნენ: სოლომონ კიპრიზოვის სახელზე 3 ქალი, აკაკის სახელობაზე 2 ქალი, ილია ჭავჭავაძის სახელობაზე 1 ქალი, დავ. სარაჯიშვილის სახელობაზე 1 ქალი, ი. გოგებაშვილის სახელობაზე 1 ქალი, გ. ნატრაძის სახელობაზე 1 ქალი და მეფე ერეკლეს სახელობაზე 2 ქალი. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ 11 მოსწავლის სწავლის ფული შეიტანა, ქართველ ქალთა საზოგადოებამ 1 მოსწავლისა. აგრეთვე 2 საპატიო ადამიანს უკისრნია 2 მოსწავლის განთავისუფლება სწავლის ფულისაგან.

სასწავლებლის გამგე საზოგადოების ყურადღებას აქცევს სკოლის შენობის სივიწროეს. სწავლის სურვილი დღითიდღე მატულობს; წრეულს 150 ბავშვისათვის სკოლაში მიღებაზე უარი უთქვამთ უადგილობის გამო.

საანგარიშო წელს მოწაფეებმა დაათვალიერეს: ბოტანიკური ბაღი, საფუტკრე და საბრეშუმე სადგური მუშტაიდში, მუზეუმები წერა-კითხვისა და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა, სიონისა და ანჩიხატის ტაძრები და სხ. ამ წელსვე კლასის დამრიგებელნი კლასებში მართავდნენ სალიტერატურო დილას და საღამოს, რომლებსაც, გარდა მოსწავლეებისა, აგრეთვე ესწრებოდნენ მასწავლებლები და გამგეობის წევრები. გარდა ამისა სასწავლებელში გაიმართა აკაკი წერეთლის გარდაცვალების წლის თავზე სალიტერატურო საღამო, რომელსაც დაესწრენ საზოგადოების წევრნი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გარეშე პირნი.

აღსანიშნავია სწავლა-აღზრდის მხრივ ბავშვების წარმატება კლასებში. როგორც ანგარიში აღნიშნავს, პირველი კლასიდან გადასულა მეორეში მოსწალეთა 82 პროც., მეორე კლასიდან გადასულა მესამეში 85 პროც., მესამე კლასიდან მეოთხეში 68 პროც., მეოთხე კლასიდან გადასულა სემინარიის პირველ კლასში 83 პროც., ასეთი წარმატება სწავლის საქმეში სხვა სასწავლებელთან შედარებით იშვიათია.

საზოგადოების საქმეების სათავეში მდგარა ენერგიით აღსავსე გამგეობა, რაიცა ნათლად დაამტკიცა მან თავისი მოქმედებით საანგარიშო წლის განმავლობაში. გამგეობას სისრულეში უნდა მოეყვანა თავისი განზრახვა ქალთა სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ და ეს მცირე შრომას როდი თხოულობდა. ამ საქმის განხორციელებისათვის საჭირო იყო: 1) პროგრამის შემუშავება; 2) სახელმძღვანელოებისათვის ზრუნვა, ვინაიდან სწავლა ქართულად არის და სახელმძღვანელო წიგნები კი არ მოგვეპოვება; 3) ნებართვის აღება მთავრობისაგან და 4) ფულის შოვნა, ვინაიდან საზოგადოების კასა ცალიერი იყო. ყოველივე ეს დაბრკოლება სძლია გამგეობამა. საფინანსო ნაწილის მოწესრიგებაში გამგეობას დიდი სამსახური გაუწია დამხმარე კომიტეტმა, რომლის მეცადინეობით, სხვათა შორის, 1 მაისს თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში გაიმართა თამარის სახელობის ღღესასწაული, რომელმაც რამდენიმედ გააძლიერა საზოგადოების კასა.

საზოგადოებას ჰყოლია საანგარიშო წლის ბოლოს: საპატიო წევრი 1, დამფუძნებელი 15 და ნამდვილი 120. ანგარიშში დიდის გულმტკივნეულობით არის აღნიშნული ქ-ნ ეკ. ი. სარაჯიშვილის გარდაცვალება, რომელსაც საზოგადოებისათვის შეუწირავს 50,000 მანეთი სახელოსნო სკოლის მოსაწყობად. აგრეთვე დიდ დანაკლისად სთვლის საზოგადოება ალ. ყიფშიძის გარდაცვალებას, რომელიც დაუღალავი თანამშრომელი იყო საზოგადოების გამგეობისა.

საფინანსო ნაწილი ანგარიშისა ერთობ მცირე და მარტივია. საანგარიშო წელს, წინა წლის ნაშთიანად, საზოგადოების შემოსავალი უდრის 12.771 მან. 21 კაპ., დანახარჯი შეადგენს 11.993 მან. 70 კაპ. შემოსავლის უმთავრესი წყარო ყოფილა: სწავლის ფული, შემოწირულებანი, კიპრიზოვსეულ სახლის ქირა, წარმოდგენიდან შემოსული ფული და სხ

სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ანგარიში ცალკეა შემდგარი. 1915 წლის 1 ენკენისთვიდან ვიდრე 1916 წლის 1 ენკენისთვემდე ამ სასწავლებლის შემოსავალი შეადგენს 898 მან. 30 კ., ხოლო გასავალი 879 მან. 33 კაპ.

უძრავ-მოძრავი ქონება საზოგადოებისა არის 55,980 მანეთისა. ნაღდ ფულად და ფასიან ქაღალდებით აქვს 5,802 მან. 51 კაპ. გასესხებული აქვს 501 მან. 46 კაპ. გარდა ამისა დამხმარე კომიტეტს აქვს ნაღდ ფულად და ფასიანი ქაღალდებით 10,198 მან. 40 კაპ. ამრიგად მთელი ქონება საზოგადოებისა უდრის 72,482 მან. 37 კაპ. ვალად მართებს საზოგადოებას 22,661 მან. 40 კაპ., მაშასადამე წმინდა ქონება საზოგადოებისა უდრის 49,820 მან. 97 კაპ.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც ბ-ნმა შ ქარუმიძემ წაიკითხა. თავის მოხსენებაში კომისია აღნიშნავს, რომ ანგარიში სწორად არის შედგენილი და ყოველსავე ხარჯს თავისი გასამართლებელი საბუთის ქაღალდი აქვსო. ეხება რა სწავლა-აღზრდის საქმეს, სარევიზიო კომისია ამბობს: „სკოლა მოსიყვარულე და პედაგოგიურად განათლებულ პირთა ხელშია. საექიმო ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში საზოგადოება განსაზღვრულ ხარჯს არ იხდიდა, კარგად არის დაყენებული. რიცხვი კლასიდან კლასში გადასულთა მიღებულ საშუალო ნორმაზე მეტია, რაიცა მოწმობს, რომ ბავშვები ასწრებენ საგნების შეთვისებას გაუჭირვებლივ: ზრუნავენ საყოველთაო განვითარებისათვის წიგნების კითხვით, ბაასით, ექსკურსიებით".

მთელი ანგარიში უცვლელად და უკამათოდ დაამტკიცა კრებამ.

წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა მიმდინარე სამოსწავლო წლისა: პროგიმნაზიულ სასწავლებლის შემოსავალ-გასავალი ნავარაუდევია 13,200 მან., სემინარიისა 7,800 მან. და სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლისა 2,300 მან., სულ 22,300 მან ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს კრებამ სასურველად სცნო დაავალოს გამგეობას სასწავლებლის დარბაზში დაჰკიდოს პარტრეთები ქ-ნ ე. ი. სარაჯიშვილისა, დ. ზ. სარაჯიშვილისა და ა. თ. ყიფშიძისა.

შემდეგ მოსმენილ იქმნა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გამგეობისა და დამხმარე კომიტეტისა იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა ახალი შესაფერისი შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს სემინარია და პროგიმნაზია მოსამზადებელი კლასებით, ვინაიდან არსებული შენობა საზოგადოებისა სვიატოპოლკ-მირსკი ქუჩაზე ეხლაც ვერ იტევს მოსწავლეებს, თორემ შემდეგ ყოველად შეუძლებელი იქნება ამ შენობაში მოთავსდეს საზოგადოების სასწავლებლები. მოხსენების დიდა აზრი ისეთია, რომ საზოგადოება ეხლავე უნდა შეუდგეს ამ საქმის განხორციელებას და უწინარეს ყოვლისა საჭიროა 1000 საჟენამდე მაინც მამულის შეძენა, რომელზედაც საგანგებოდ აშენდება შესაფერისი შენობა.

ვინაიდან ასეთ რთულ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა კრებაზე შეუძლებელი იყო, კრებამ შესაფერის ფორმალურ რწმუნებით აღჭურვა გამგეობა, რომ, თუ კი შემთხვევა ნებას მისცემს, შეიძინოს საზოგადოების სახელზე მამული; აგრეთვე კრებამ საჭიროდ სცნო დამხმარე კომიტეტი შეევსო ახალი წევრებით და ამ აზრით აირჩია ქ-ნი დ. დ. ფარსადანოვისა, კნ. ნ. ა. ფალავასი, ქ-ნი ე. ა. აბულაძისა, ქ-ნი ნ. ს. გაბაშვილისა, ქ-ნი ნ. დ. მაკარაშვილისა და ქ-ნი ნ. დ. მანსვეტაშვილისა, რომელნიც კომიტეტის დანარჩენ წევრებთან ერთად შეეცდებიან საზოგადოების ქონებრივად გაღონივრებას.

შემდეგ კრებამ აირჩია: საზოგადოების საპატიო წევრად ნ. ი. მამაცაშვილი, მუდმივ წევრებად ქ-ნნი ნ. ნ. ზურაბიშვილისა და ნ. ნ. გაბაშვილისა; გამგეობის წევრებად ისევ ძველები, ქ-ნი ე. მესხისა და ბ-ნი ი. ზედგინიძე და აგრეთვე ბ-ნი გ. იმნაიშვილი, ამათ კანდიდატებად—ქ-ნნი ე. მესხიშვილისა და ელ. ვირსალაძისა; სარევიზიო კომისიის წევრად ი. ე. გამყრელიძე.

დასასრულ, ბ ნ შ. ქარუმიძის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელმაც „განათლების" საზოგადოების სახელოსნო სკოლა ფეხზე დააყენა თავისი უხვი შეწირულობით.

კრება დამთავრდა ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე.

ჩვენა და ჩვენი მრეწველობა ჭიათურაში

(გაკვრით)

დიდიხანი არაა, რაც ჩვენა და ჩვენი მრეწველობა ერთმანერთს ვუახლოვდებით, რაც აუცილებლად უნდა ადრევე მომხდარიყო, მაგრამ ქართველურმა ხელგაშლილობამ და სტუმრის დახვედრის დროს გულუხვობამ, უნდა ვთქვათ, ამ დაახლოებას პირველხანშივე დიდი ზიანი მოუტანა. და ეს უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ მიზეზად ჩვენს აღებ-მიცემობასა თუ მეურნეობასა და კერძოდ ჭიათურის მრეწველობაში უცხოელთა მფლობელობითი სისტემის სწრაფს ზრდისა. და, როცა მწარე გაკვეთილი—ნაყოფი ჩვენის დაუდევრობისა, სამარცხვინოდ გადაიშალა ჩვენს თვალ-წინ, მაშინ ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი წაბიდარ საქმის გამოსაბრუნებლად, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, მაგრამ მადლობა ღმერთს, ისიც კარგი იქმნება გვიან მაინც შევიგნოთ თუ რა დავაშავეთ წარსულში. ამის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ჩვენთა მრეწველთა გამოფხიზლება, თუმცა როგორც მოგახსენეთ, კიდევ ბევრი დაბრკოლება ელობებათ წინ.

და ელობებათ ჩვენისავე მოძმისა და მამულიშვილებისაგან. მაგრამ რა სათქმელია! განა ამათი კუჭი კი არ ინელებს? ან რატომ უნდა აკლდეს გასუქება გამდიდრების სურვილი ამ ვაჟბატონებს? ცერცვაძეებისთანა პარაზიტები და მადა-აშლილი მაკლერები ევროპის „კაპიტალმა" ბევრი გამოატყვრინა აღებ-მიცემობაში; ამათი სამშობლო და დედულ-მამული ბირჟა და საწარმოო ცენტრებია; ისინი ყველგან ძალით ეჩხირებიან და ეჩხირებიან, რადგანაც დროც ხელს უწყობს ამ ვაჟბატონებს. „კომერციამ" კარგად იცის, რომ ისინი სრულიადაც არა სცდილობენ არც ერეოვნულ წარმოების აყვავებას და არც თვით მსოფლიო წარმოების განვითარებას: იმათ იციან, რომ ამ ვაჟბატონების მიზანი მხოლოდ პირადი გამდიდრებაა და მოტყუება მომხმარებელ მიმწოდებელისა და თითქმის ყოველი გადადგმული ნაბიჯიც ასეთი გზისკენაა მიმართული. მაგრამ დღევანდელი საღებ-მიცემო სისტემა რაკი ხელს უწყობს მათს არსებობას, ესენიც შეეჩვივნენ ამ გაძვერათა მოქმედებას.

ჭიათურის წარმოებაში ტეხნიკური გაუმჯობესება წარმოების უკეთეს ნიადაგზე დასამკვიდრებლად, თანდათან იკიდებს ფეხს. ეს აღსანიშნავია განსაკუთრებით, ვინაიდან ეს ბევრ ადგილებზე ადგილობრივ ადამიანებს ეკუთვნის. ეს ადგილობრივ ადამიანებიც ეს ეროვნული ელემენტი ეს ეროვნული ელემენტი ეს ეროვნული ელემენტი

ზოგადოებისა სვიატოპოლკ-მირსკი ქუჩაზე ეხლაც ვერ იტევს მოსწავლეებს, თორემ შემდეგ ყოველად შეუძლებელი იქნება ამ შენობაში მოთავსდეს საზოგადოების სასწავლებლები. მოხსენების დიდა აზრი ისეთია, რომ საზოგადოება ეხლავე უნდა შეუდგეს ამ საქმის განხორციელებას და უწინარეს ყოვლისა საჭიროა 1000 საჟენამდე მაინც მამულის შეძენა, რომელზედაც საგანგებოდ აშენდება შესაფერისი შენობა.

ვინაიდან ასეთ რთულ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა კრებაზე შეუძლებელი იყო, კრებამ შესაფერის ფორმალურ რწმუნებით აღჭურვა გამგეობა, რომ, თუ კი შემთხვევა ნებას მისცემს, შეიძინოს საზოგადოების სახელზე მამული; აგრეთვე კრებამ საჭიროდ სცნო დამხმარე კომიტეტი შეევსო ახალი წევრებით და ამ აზრით აირჩია ქ-ნი დ. დ. ფარსადანოვისა, კნ. ნ. ა. ფალავასი, ქ-ნი ე. ა. აბულაძისა, ქ-ნი ნ. ს. გაბაშვილისა, ქ-ნი ნ. დ. მაკარაშვილისა და ქ-ნი ნ. დ. მანსვეტაშვილისა, რომელნიც კომიტეტის დანარჩენ წევრებთან ერთად შეეცდებიან საზოგადოების ქონებრივად გაღონივრებას.

შემდეგ კრებამ აირჩია: საზოგადოების საპატიო წევრად ნ. ი. მამაცაშვილი, მუდმივ წევრებად ქ-ნნი ნ. ნ. ზურაბიშვილისა და ნ. ნ. გაბაშვილისა; გამგეობის წევრებად ისევ ძველები, ქ-ნი ე. მესხისა და ბ-ნი ი. ზედგინიძე და აგრეთვე ბ-ნი გ. იმნაიშვილი, ამათ კანდიდატებად—ქ-ნნი ე. მესხიშვილისა და ელ. ვირსალაძისა; სარევიზიო კომისიის წევრად ი. ე. გამყრელიძე.

დასასრულ, ბ ნ შ. ქარუმიძის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელმაც „განათლების" საზოგადოების სახელოსნო სკოლა ფეხზე დააყენა თავისი უხვი შეწირულობით.

კრება დამთავრდა ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით წვრილ მრეწველობაში: მექანიკური ჩამოსაშვებები; სარეცხი ქარხნები და მრ. სხ., რომელნიც ამხანაგური სახით კეთდება და თანდათან მრავლდება, თითქმის კიდეც ამხანად უცხოელთაგან შექმნილ ამხანაგობათა რაოდენობასაც სჯარბობს, რაიც თავდებია იმისი, რომ ქართველი მრეწველები უკვე შევიდნენ თვითგამორკვევის გზაზე და თანდათან ვუახლოვდებით ჩვენ და ჩვენი მრეწველობა ერთმანეთს.

მხოლოდ ისაა, რომ ჯერ-ჯერობით წვრილმა მრეწველებმა ერთეული სახითა და ძალ-ღონით ევროპის ბაზარზე ფეხი ვერ გადასდგეს, რაშიაც წინ ელობებათ ისევ და ისევ მაკლერები. ვცადეთ კი, მაგრამ ვისაც კი მივენდვეთ, მოგვატყუა და დაშინებული გვეძინელება კვლავ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ დრო და გარემოება, ვფიქრობ, ამ გზამდინაც მიგვიყვანს, უფრო მომზადებულ - გამორკვეულთ. ჩემის ფიქრით, ეს იქნება იმ დროს, როცა მაკლერთა ადგილს, კომერციულის ცოდნით აღჭურვილნი პირები დაიჭერენ საღებ-მიცემო წარმოებაში და, როცა ჩვენ და ჩვენი შავი ქვის მომხმარებელნი ერთმანეთს შეეხვდებით. ამ ნაირად, ადრე თუ გვიან მოსახერხებელი იქნება, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი გასვლა საკუთარი ძალ-ღონით და ცოდნით ბაზარზე. საამისო გზას ეხლაც ამზადებს დრო, მაგრამ, ვიმეორებ, ახლო წარსულის მაგალითებით დაშინებულნი, ვერ ვიტყვი დანამდვილებით, რა გზაზე დაიყენებს ჰიათურის მრეწველთ მსოფლიო ჩარხის ტრიალი, ამ ხანად მაინც. მაგრამ როგორც არ უნდა ვთქვათ, ძველის გზით სიარული შეუძლებელია და ამისი მაგალითები ახლაც სჩანს.

ჩვენის საკუთარ კაპიტალის უქონლობის გამო მისი ადგილი სწორედ ბანკებმა დაიკავეს. ეს დაწესებულებანი იგივე „კაპიტალისტები“ არიან, ანუ ასე ვსთქვათ „კაპიტალისტთა ორგანიზაცია“, თითქმის უფრო შეგნებულათ და მოხერხებულად მოწყობილი. მის უკან ამოფარებულნი მისნი მემკვიდრენი ადვილად ახერხებენ მალულად უკარნახონ მას და ამ ორგანიზაციების საშუალებით, პირადად თავისუფლად აწარმოებენ წარმოებაში გადაჭარბებულ „ექსპლოატაციას“. ყველას კარგად მოეხსენება, წარმოების სხვა და სხვა დარგებში რა როლს თამაშობდნენ ბანკები დღემდე და დღესაც. კერძოდ ჰიათურაში კი უმისოდ ფეხის გადადგმაც არ შეიძლება და გულწრფელადაც მოგახსენებთ, რომ წვრილ მწარმოებელთა განადგურებაში მათ უდიდესი როლი ითამაშეს და სამაგალითოთაც გამოაშკარავეს თავიანთი ფიციონომია; მათ არ დაინდვეს არც ექსპორტიორნი— ეს მუდმივი მათი ლუკმა და ბევრჯერ გაუშვეს აქედან ტყავ-გამძვრალნი, რის მეოხებითაც ხშირათ მოხდა წვრილ მრეწველთა ტ მომუშავეთა გაცარცვა. და აი როგორ! ვთქვათ, ჰიათურაში ქვა მოზიდული ბაქანზე ფასობს 10 კაპ. ბანკის გამგეობამ ეს იცის; იცის ისიც, თუ რომელ ექსპორტიორს რა ფასადა აქვს გაყიდული ქვა და რამდენი კრედიტი აქვს მექარხნისა ან კონტრ-აგენტ-მაკლერისაგან გახსნილი, და ამის და შედარებით ისიც იცის, ჩვენი რომელი ბანკიც უხსნის მას კრედიტს, რასაკვირველია, ნაკლებით, მაგ. 10 კაპ. ნაცვლათ, ის აძლევს 5—6 კაპეიკს იმ პირობით, რომ ბაქანიც ამ უკანასკნელის სახელზე იყოს გადასული; დანარჩენს ამატებს ბაქანზე მყიდველი და რადგანაც ყველას არა აქვს ასეთი შეძლება, ხშირად ვადებს აძლევენ მომტანთ, რაიც ხშირი და აუცილებელი შემთხვევაა ყოველსავე საღებმიცემო საქმეში და კერძოდ ჰიათურის შავი ქვის წარმოებაში; კარგია, თუ ასეთ პირობებში ევროპის ბაზარზე ქვის ფასები ნორმალურად სდგას, ან მატულობს. მაგრამ მოხდება ისე, რომ ფასები ეცემა; ამას ქმნის ხშირად გადაჭარბებული წარმოება—ბაზრის გაძღომა და ამ ხანაში ბევრს არაფერს ჭკარგავს ექსპორტიორი, ან იღებს საქმეზე ხელს,— ხოლო ბანკს გარანტია ხელში აქვს: ბაქანიც და ზედ მოზიდული ქვაც მის სახელზეა და უზრუნველყოფილია. ექსპორტიორი წავიდა, ბანკმა საქონელი მითვისა და მრეწველი კი პირჩალაგამოვლებული დასტოვა ერთმაცა და მეორემაც. ამ პირობებში დაედვა მრეწველს ვალი და, ვინ იცის, რამდენი დრო მოუნდა მის გასწორებას.

ამის მაგალითები მოგვცა 1906—7 წლებმა. ამ წლებში ჰიათურის წვრილმა მრეწველებმა დაკარგეს, ზემო დასახელებული მაგალითის მიხედვით, 300—400 ათასი მანეთი. „ექსპორტერნი გაიქცნენ, ხოლო ბანკებმა მიითვისეს მათი საქონელი. ე. ი. ჩვენი ნაშრომი, ჩვენი ავლა-დიდება, რომელიც ვაჭრული ანგარიშით ვანდეთ სხვას. ეს საქონელი ბანკებმა კარგს ფასებში გაჰყიდეს, ასე რომ 10 კი არა 20 და 30 პროც. აიღეს მათ. ეს არც დამალული რჩება და ამიტომაა, რომ ჰიათურის წარმოებაში მათ სარგებლობა არ მოუტანიათ წარმოებისათვის, მაგრამ რაკი აქაური მადანი მსუქან ლუკმას შეადგენს მათთვის, ისინიც ძალზე ეჩხირებიან, და თითქმის ყველა არსებული ბანკები კი ცდილობენ მოათავსონ აქ თავიანთი „კაპიტალი“.

რა-კი ყველა დარგის მწარმოებელთ ერთნაირათ გვძვრება ტყავი და ეს ხშირად ისევ და ისევ ამ ბანკების საშვალებით, ამიტომ რა გაეწყობა, ასეთ პირობებში ხალხი ფიქრობს: „ლუკმა გავარდეს---ჯამში ჩავარდესო“. ეს ასე მოხდა ჰიათურაშიაც. ამას შედეგად მოჰყვა აქ, როგორც მახსოვს, 1900 წელში ბანკის დაარსება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, და საქმეს, რომ ჩაუკვირდეთ, ასეთ საწარმოო „ცენტრში“ მისი არსებობა აუცილებელიცაა: „ხომ-კი გვძვრება ტყავი და ჩვენი ტყავის ნაყოფს, სიმსუქნეს ახლოს მაინც დავინახავთ და ჩვენვე დაგვრჩებაო“, ფიქრობდნენ მისი დამაარსებელნი. ხალხიც ფიქრობდა, რომ აქ უფრო ხელ საყრელი პირობები იქნებოდა ბანკსა და კლიენტებ შორის მოსახერხებელი. ასე იყო საფიქრებელი, მაგრამ განძღომისა და დაწინაურების მადა ამ პატარა დანორჩ დაწესებულებასაც დიდი აღმოაჩნდა. საამისო სურვილსაც რიგიანი მიმხვდერი და ხელმძღვანელი უნდა და სწორედ აქ მოხდა საკვირველი და სამარცხვინო რამ. ბანკის არსებობის განმავლობაში, ამ დაწესებულებას მხოლოდ რამდენიმე ხანი ჰქონდა ბედნიერებისა თავის მიზნის მისაღწევათ, რის ნაყოფიც თვით მისივე დამღუპავი შეიქნა და დღეს მძიმე ტვირთად აწევთ იმათ, ვინც იმაზე რაიმე იმედებს ამყარებდა ან ვინც-კი გაებნენ იმის ქსელში.

ამ ბანკის გაჩენის დღეს ბევრი სწყევლის ეხლა, ბევრნი, როგორც წევრები, ისე ისინიც, ვისაც-კი რაიმე საქმე აქვს ამ ბანკთან, ცდილობენ თავი დააღწიონ, მაგრამ ეს აღარც ისე ადვილია დღეს. ხოლო გოდება დამგირავებელ-მსესხებელ-შემნახველთა ყოველივე ზომაზე გადაჭარბებულია და მგონი, რომ დასასრულიც არ ექნეს დიდხანს.

ამნაირად ჩვენმა ბანკმაც—რა-კი ის უცხოთა ბანკებზე ანუ, ასე ვსთქვათ, ეროვნულ ინტერესებზე დაშორებულ ორგანიზაციაზე იყო დამოკიდებული, ვერ შესძლო თავისი დანიშნულების გამართლება ისე, როგორც საურთიერთო, დამხმარე და საგლეხო ბანკები ასრულებენ ამას, მაგრამ მის მესვეურთ ადვილათ შეეძლოთ დასახელებულ მიზეზებისათვის გვერდი აექციათ რომ დაუკვირდებით, და წინ და წინ მოუფიქრებლად რომ არ გაეტაცებინა ისინი გასუქების სურვილს. წამხედურობამ წამწყმიდაო, ნათქვამია, და ისიც გაიტაცა გასუქების სურვილმა და ამიტომ მოხდა, რომ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში.

ახლა ოცნებაა ამ ბანკის რიგიან გზაზე დაყენება; ის დასამარების კარამდე მიიყვანეს მისმა მესვეურებმა, ხოლო რა-კი ჰიათურის სააღებ-მიცემო საქმისათვის და თვით ისეთ საწარმოო საქმისათვის, როგორიც შავი ქვის წარმოებაა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამხანათ ბანკი; ძველის გვერდით უნდა დაარსებული იქნეს ახალი ბანკი, უფრო მცოდნე და გამოცდილ პირთა მეთაურობით.

წარსული შეცდომები სასარგებლო გაკვეთილის მომცემი უნდა იქნეს იმავე გზით მოსიარულე ახალ მეთაურთათვის.

ა. ხაბულიანი.

დაგა-სოფლები

ძ. ბათუმი. ნ. ბარათაშვილის საღამო. 22 გიორგობისთვეს, რკინის თეატრში გაიმართა ნ. ბარათაშვილის საღამო. ამ დღისათვის ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრისგან საგანგებოდ მოწვეულნი იყვნენ ლექტორი წერეთელი და მომღერალი კავსაძე. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, თეატრის დარბაზი მთლად გაჭედილი იყო.

მოკლე და შინაარსიანი რეფერატით ლექტორმა წერეთელმა გააცნო საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის სულის კვეთება, მისი დრო და ის პირობები, რა პირობებშიც ის გამოვიდა სამგოსნო ასპარეზზე. ლექტორი განმარტავდა თავის დებულებებს მარტივად, მომხიბლავად და საზოგადოებაც გულდასმით ისმენდა ყოველსავე მის სიტყვებს, მხოლოდ ოვისი რეფერატი განსაზღვრა ნ. ბარათაშვილის მსოფლიო მნიშვნელობით და მის ლექსებზე და პოემებზე არაფერი უთქვამს, აღნიშნა მხოლოდ მოკლედ „მერანის“ დედა აზრი და სულის განცდა, რომელსაც განიცდიდა დაობლებული და მუდამ მშფოთვარე გული მგოსნისა. ლექტორი ხანგრძლივის ტაშის ცემით იქმნა დაჯილდოვებული და მსმენელებზე მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

მეორე და მესამე განყოფილება ერთი-მეორეზე უფერული იყო.

ხორო კავსაძისა, ორ დღეში (ბათუმელების-გან) მომზადებული თითქმის არაფერსა ჰგავდა და მომღერალთა მღერა უფრო პირველ დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა გალობას მოგაგონებდათ. თვით კავსაძისაგან ნამღერი „გადმოშვი მთაო“ და „ურმული“ უფრო სევდას აღუძრავდა გულში იმათ, ვისაც ეს შომღერალი ადრე მოუსმენია. სად დაიკარგა ის მშვენიერი, დამატკბობელი ხმა კავსაძისა, რომელსაც ერთს დროს აღტაცებაში მოჰყავდა მთელი საქართველო?!

საერთოდ, საღამომ სასურველი შთაბეჭდილება ვერ დასტოვა და საზოგადოება, რომელიც ამ დღისათვის უფრო მეტს მოელოდდა—იმედ გაცრუებული დარჩა, რა თქმა უნდა ამაში დიდი დანაშაულობა მიუძღვისთ იმ ქართულ საკულტურო დაწესებულებებს, რომელნიც ბათუმში მოქმედებენ, და რომელთაც ამ საღამოს მოწყობისათვის ხელიც არ გაუნძრევიათ და დაენდვნენ იმ წრეს, რომელიც ჯერ არც ისე მოღონიერებულია, და თუმცა სურვილი დიდი აქვს, მაგრამ იმდენი ძალა და უნარი არ შესწევს, რომ ასეთი დიადი საღამოები, როგორიც ნ. ბარათაშვილის 100 წლის დაბადების დღის აღნიშვნაა, ჯეროვანად მოეწყო.

მგოვალჯური.

—

დ. ჰიათურა. პირველ და აუცილებელ მოთხოვნილების საგნების კრიზისმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. მართალია რაც ომი დაიწყო, ყოველდღე ვგრძნობდით ამ საგნების ნაკლებულებას. მაგრამ დღეს კი აუტანელი პირობები შეიქმნა. შაქარი, ეს ერთი თვეა გამოჩენილია და მოლოდინიც არ გვაქვს, რომ კიდევ მოვესწროთ ამ აუცილებელ საგნის შეძენას; პური უკვე გამოჩენილია და გირვანქა პურისათვის მთელის დღეებით უნდა იცადოს კაცმა ფურნეებთან.

„ჩვენი ოჯახის“ განახლებულმა გამგეობამ თავგამოდებით აი სწორეთ, ამ საგნებს მიაქცია ყურადღება, მაგრამ დღეს ისეა საქმე, რომ მათს ენერგიულ მოქმედებას გასავალი არ აქვს და ცნობილ გასპარებს კონკურენციას ვერ ეუწევთ.

დ. ჰიათურაში ხუთი ათასამდე მუშა ატრიალებს თვის მარჯვენას და რა თქმა უნდა, რომ თუ სანოვაგე სხვაგან სადმე გასაღებულა, აქ შეტათ გასაღდება—და აი სწორედ ამას უნდა ჰქონდეს ყურადღება მიქცეული, რომ „ჩვენი ოჯახის“ გამგეობამ ყოველთვის იქონიოს ფქვილი, შაქარი, მარილი და სხვა.

როგორც იქმნა, მოვიდა ჰიათურაში ორი ვაგონი ნავთი, რომელიც ორ დღეში დაიტაცა ხალხმა. უნავთობისა და უმაზუთობის გამო კინაღამ არ გაჩერდა ჰიათურის შავი ქვის სარეცხი ქარხნები, მაგრამ შავი ქვის სამრეწველო საბჭომ იმდენი ისაშუალა, რომ ჰიათურის შავი ქვის ბიუროს თავმჯდომარე ბ. სალავიოს შუამდგომლობით ნარიადი მიეცათ და თერმეტი ვაგონი მაზუთი უკვე მიიღეს და ქარხნების მუშაობის შეჩერება თავიდამ აგვცილდა.

დღემდე ვერ გვიპოვნია შუქრუთის კოოპერატივის ფულების ყუთი, რომელიც, ეს რამდენიმე დღეა, გაიტაცა ქურდმა. ყუთი 20—25 ფუთის სიმძიმისაა და ისე მოხერხებულათ წაუღია ქურდს, რომ მხოლოთ წაღების დროს კიბე გაუტეხნია.

სანიტარული მდგომარეობაც დაბა ჰიათურისა უყურადღებოთაა. ბაზრის ქუჩას სისუფთავე აკლია.

აქვე მძვინვარენს ყველა „ბატონები“, ეს ავადმყოფობა ხომ მუსრია ბავშვებისათვის და კიდეც იმსხვერპლა რამდენიმე ბავშვი. გარშემო სოფლებიდამ ჩამოსულები წითელასი და ყვავილის გავრცელებას ამბობენ.

ჯერ-ჯერობით ძალიან კარგი ამინდები დგას.

ლალ. ქავთარაძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ დამისტამბოთ ეს მცირე წერილი.

„საქართველოს“ 254 №-ში და „თან. აზრის 256 №-ში წერილები მქონდა დაბეჭდილი ჩემის „კედლის კალენდრის“ შესახებ. ვსწერდი, რომ ბ-ნს მიხ. გაჩეჩილაძის მიერ გამოცემულ კალენდრის შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. და რადგან ბ-ნი გაჩეჩილაძე მაინც ჩემს გვარს აცხადებდა ამ კალენდრის შემდგენელად, ვთხოვდი უარეყო ჩემი მონაწილეობა.

პასუხის მაგიერ ეხლა განცხადებაში ესე ჩაუწერია ბ-ნს გაჩეჩილაძეს: „შედგენილი მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა“, ეს კი არ ვიცი, თუ რომელი ჩარკვიანია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხედველობაში მე არა ვყოლივარ, რადგან იცის, მე გრიგოლ ვასილის-ძე ჩარკვიანი გახლავართ. რადგანაც ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე უჩემგვაროდ თავის კალენდრებს ვერ გაავრცელებდა, მოუძებნია ჩემი გვარისა და სახელის კაცი და ამგვარად ავრცელებს თავის კალენდრებს და თან შეცდომაში შეჰყავს მყიდველები.

ახლა გვიბრძანოს ბ-ნმა გაჩეჩილაძემ, რათ დასჭირდა უსათუოდ ჩარკვიანის გვარის წარწერა? მე კიდევ მაინც ოცდა ცხრა წელიწადია, რაც კალენდარს ვადგენ, და ერთი გვითხრას ახალ მოწვეულმა ჩარკვიანმა, თუ ოდესმე შეუდგენია ქართული კალენდარი? თუ ბ-ნმა გაჩეჩილაძემ მარტო ფირმისათვის მოიწვია ის ახალი კაცი, რომ კალენდარი არ დარჩენოდა გაუსყიდავი?! უკანასკნელათა ვსთხოვ ბ-ნ გაჩეჩილაძის დამისახელოს, რომელი ჩარკვიანია მის კალენდრის შემდგენელი. ის მაინცა სთქვას, რომ, ყოველსავე შემთხვევაში, მე, გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი არა ვარ მის 1917 წლის კალენდრის შემდგენელი.

გრ. ჩარკვიანი.

შემოწირულება

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ შემოვიდა 13 მან. და 35 კ., ქ-ნ ნინო რამიშვილის მიერ შეკრეფილი ს. საჯავახოში.

შემომწირველთა სია: ეზეკი კახიანმა 1 მან. ათ-ათი შაური: სვიმონ თორგამიძემ, ვლადიმერ რამიშვილმა, თევდორე ჯამბურიამ, ნესტორ ჯაშმა, ანდრია ჭ-ნჭარაძემ, გაბრიელ ლორიამ, სევერიან თარგამაძემ, კონსტანტ. კახიძემ, იაშვილმა, ვასილ გაგუამ, საჩინო სიხარულიძემ, ელენე ჩიტაშვილმა ნინა, ლუბა და თებრონე რამიშვილებმა. ექვს-ექვსი შაური: ალექსანდრა და მარიამ თარგამაძეებმა, ლიუდი ძნელაძემ, ქეთო შანიძემ, ვლ. ბოლუქვაძემ, გიორგი ხუნდაძემ, მიხეილ შანიძემ, ირადიონ ლორიამ და ივანე მხილაძემ. ხუთ ხუთი შაური: ნინა, კატო და მაშიკო თარგამაძეებმა. თითო აბაზი: ვერა გოგიტიძემ, სარა შანიძემ, ვარდო კიწმარიშვილმა, ივლიტა თარგამაძემ, ბიკტორ თარგამაძემ, ვასილ სილაქონიძემ, ონოფრე ზაქრაძემ და პანტელიმონ რამიშვილმა.

—

რედაქციამ ჰანების სასარგებლოდ დონის როსტოვიდან მიიღო თუმანი. შემოსწირეს ხუთ-ხუთი მანეთი ნ. გოგიტიძემ და ვ. გოგიტიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20 დღ.
„ „		№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ	№ 4,	8 „	58 „ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
თელავიდან	№ 3,	6 „	24 „ საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

ფეიზის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(108—წ.) ტელეფონი 5—96.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ძალადდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო ვინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ

ცნობის კონტორას

ი. თ. გვათუასასს

თბილისი, ვერის დალმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფულ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროფიციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

დაიბეჭდა და იყიდება

1917 წ. კედლის კალენდარი

შედგენილი ბრ. ჩარკვიანის-მიერ (ოცდა მეცხრე წელი)

პოოპერატ. ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემა

ფასი ერთი მანეთი

კოოპერატიულ ამხანაგობათა ვთხოვთ მიმართონ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს. კერძო მყიდველთ—წერა-კითხვის მაღაზიის და სხვა წიგნების მოვაჭრეებთან თბილისში.

(3—410—1)

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

ბატონებო ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია— შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები მოლეციტინი (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— მოლეციტინი საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— მოლეციტინი მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— მოლეციტინი უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— მოლეციტინი მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— მოლეციტინი სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— მოლეციტინი ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს აგრედვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— მოლეციტინი ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზეც.

— მოლეციტინი მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— მოლეციტინი ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— მოლეციტინი ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტთან. Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 სპ. უბანი გოლოვინის პროსპ. ძამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ვაილოვის-შვილთ, საბრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრების“ ალექსანდრეისა, გამგეის ზესახლეში. № 6.